ოქმი #10

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

ქ. ცაგერი 06 ივლისი, 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მ. კოპალიანი, გ. გუგავა
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი, თ. ჭაბუკიანი, ო. ჩაკვეტაძე, დ. მუშკუდიანი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, ნ. ბურჯალიანი, ე. საღინაძე, მ. ახვლედიანი, გ. გურგუჩიანი, ნ. ტვილდიანი, ბ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე, მ. მურცხვალაძე, ა. თვარაძე, დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, გ. ახვლედიანი, რ. ყურაშვილი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი: გ. ნემსაძე
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: ა. თუთისანი, რ. ახვლედიანი
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი: ს. გვიშიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ბ. კოპალიანი
საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

განკარგულებები:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

   /გ. ნემსაძე, ს. გვიშიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ასინიზაციის ავტომანქანა DAF -ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EDE 012, საბალანსო ღირებულება 9500 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) შ.პ.ს. ,,მანქანა -ტრაქტორთა პარკის“-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   /გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ექსკავატორი CUKPOVA-ს (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი LV242V, საბალანსო ღირებულება 62034.20 აშშ დოლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) შ.პ.ს. ,,მანქანა-ტრაქტორთა პარკის“-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   /გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბულდოზერი კატეპილარი D8R-ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EB-230, საბალანსო ღირებულება 720 000 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით (უსასყიდლო უზუფრუქტი) სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. ,,მანქანა -ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ,,ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის სოფ. ჭალისთავის განყოფილების წიგნადი ფონდის" ქვედა ცაგერის საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 26 დეკემბრის №306 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

6. ცაგერის მუნიციპალიტეტში მეორე კვარტლის მონაცემებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

7. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

განკარგულებები:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/გ. ნემსაძე, ს. გვიშიანი/

მომხსენებელმა-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა: ს. გვიშიანმა მოსაწონებლად წარმოადგინა ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებებლი 13 პროექტი:

1. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე ტურისტული ცენტრის ეზოს შემოღობვისა და დრენაჟის მოწყობა, მიმდებარედ რუსთაველის ქუჩაზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;

2. სოფ. ჩქუმში ,,ცივი ქვის'' მიმდებარედ ტერიტორიის შემოღობვისა და არსებული ტუალეტის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების სამუშაოები;

3. ქ. ცაგეში რუსთაველის ქ №59 საზოგადოებრივი ტუალეტის რეაბილიტაციის, ეზოს კეთილმოწყობის, შიგა და გარე სანტექნიკური და შიგა და გარე ელ. მომარაგების სამუშაოები;

4. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ 9 აპრილის მემორიალის კეთილმოწყობის სამუშაოები;

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ორბელში საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.წიფერჩში 30 აღსაზრდელზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა;

7. სოფ. ქულბაქში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;

8. ქ. ცაგერში კეჭნარის არხის ხიდბოგირის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

9. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცაგერის მერიის შენობის სახურავის შეცვლის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;

10. სოფ. ორხვში საზოგადოებრივი თავშეყრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

11. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ტვიშის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

12. სოფ. ქორენიშის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

13. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქორენიშის გზის რეაბილიტაცია;

სხდომის თავმჯდომარემ ჭ. ჭაბუკიანმა აღნიშნა, რომ ამ პროექტების განხორციელებით მუნიციპალიტეტში ბევრი პრობლემა იქნება გადაჭრილი.

აზრი გამოთქვეს: გ. ახვლედიანმა, მ. ხაბულიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ასინიზაციის ავტომანქანა DAF -ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EDE 012, საბალანსო ღირებულება 9500 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) შ.პ.ს. ,,მანქანა -ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, გ. ახვლედიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ექსკავატორი CUKPOVA-ს (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი LV242V, საბალანსო ღირებულება 62034.20 აშშ დოლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) შ.პ.ს. ,,მანქანა-ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

აზრი გამოთქვეს: რ. ხეცურიანმა, ზ. ყურაშვილმა, ჭ. ჭაბუკიანმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბულდოზერი კატეპილარი D8R-ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EB-230, საბალანსო ღირებულება 720 000 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით (უსასყიდლო უზუფრუქტი) სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. ,,მანქანა-ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა გ. გურგუჩიანმა აღნიშნა, რომ ამ მძიმე ტექნიკას 8 წელია არ უმუშავია, იყო მცდელობა კონკრეტული პირებისაგან ამ ბულდოზერის გაყიდვის, მაგრამ ხალხის ძალისხმევის გამო ვერ მოხერხდა. ამ ტექნიკამ 2012 წელს წყალდიდობის დროს გადაარჩინა ლაჯანურის ხეობის მოსახლეობა, სწორედ ამისთვის შეირჩა ეს ტექნიკა. კარგია თუ შეკეთდება და ეს ხეობა გაიწმინდება.

მუნიციპალიტეტის მერმა გ. ნემსაძემ ბულდოზერთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ უკვე დაწყებულია ამ ტექნიკის შეკეთება, მალე იქნება მუშა მდგომარეობაში. შ.პ.ს. ,,მანქანა-ტრაქტორთა პარკთან" დაიდება ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობები ცნობილი იქნება საკრებულოსთვის. თუ გაჭირდა ამ ტექნიკის მოვლა-შენახვა გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებთან ერთად იქნება მიღებული.

აზრი გამოთქვეს: გ. გურგუჩიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ. ჭაბუკიანმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ,,ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის სოფ. ჭალისთავის განყოფილების წიგნადი ფონდის" ქვედა ცაგერის საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 26 დეკემბრის №306 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/გ. ნემსაძე, ბ. კოპალიანი/

აზრი გამოთქვეს: ნ. საღინაძემ, მ. კოპალიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 0

6. ცაგერის მუნიციპალიტეტში მეორე კვარტლის მონაცემებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

მომხსენებელმა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მ. ხაბულიანმა წარმოადგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით და ღნიშნა, რომ რიგ პროექტებთან დაკავშირებით არის პრობლემები, მაგრამ მიმდინარეობს ამ პრობლემების აღმიფხვრა.

აზრი გამოთქვეს: მ. ახვლედიანმა, თ. ჭაბუკიანი, ჭ. ჭაბუკიანმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 0

7. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

განკარგულება ცნობად იქნა მიღებული (თან ერთვის)
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა პრობლემურ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან (აღვის, წიფერჩისა და ორბელის წყალსადენი, ღვირიშის ბილიკები) და სტიქიისგან დაზიანებული სოფლის გზების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით კითხვები დაუსვეს მუნიციპალიტეტის მერის მოდგილეს ა. თუთისანს, რომელმაც ყველა საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდათ.

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი